

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №208/ნ

2012 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის №67/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის №67/ნ ბრძანების (ვებგვერდი, 110511013, 17/05/2011 სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016104) პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კოლეჯის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს 2 მოადგილე, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დაწესებულების დირექტორი.

3. დირექტორის არყოფნისას ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს მის მოვალეობას.“.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ.დეკანოიძე